ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

დაბა ქედა

განკარგულება:**გ-95. 95253603**
თარიღი:**26/12/2025**

ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმართველობის კოდექსი“-ს 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის 29-ე მუხლის, „საქართველოს 2026 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-25 მუხლისა, და საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **გადაწყვიტა:**

1.შეთანხმებული იქნას ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობა და განისაზღვროს 70 (სამოცდაათი) ერთეულით.

2.მიღებული განკარგულების შესახებ ეცნობოს ქედის მუნიციპალიტეტის მერს (მამუკა თურმანიძე).

3.ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქედის მუნიციპალიტეტის მერიაში შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 27 დეკემბრის №გ-95.95243622 განკარგულება.

4.განკარგულების დაინტერესებული მხარეთათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს ქედის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსმა - მუხრან სალაძემ.

5.განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული მხარეების მიერ კანონმდებლობით დადგენილი წესით მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქ. ბათუმი ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358).

6.განკარგულება ძალაშია 2026 წლის 01 იანვრიდან.

ამირან ცინცაძე

საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი